შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ. თბილისი 01 სექტემბერი 2014 წ.

ერთის მხრივ, სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი" შემდგომში - „შემსყიდველი", წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის **შოთა გოგიჩაიშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ლუკოილ ჯორჯია"** შემდგომში - „მიმწოდებელი", წარმოდგენილი დირექტორის **ზაზა ქათამაძის** სახით, ორივე ერთად მოხსენიებული როგორც „მხარეები" ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. მხარეთა შორის 2013 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კონსოლიდერებული ტენდერის №1 ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანხმად და „შემსყიდველის" მიერ წარმოდგენილი დანართი #2ა-ს შესაბამისად, „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს „შემსყიდველის" კუთვნილ ავტომანქანებზე "აგაი" სისტემის მოწყობილობის დამონტაჟებას ***2014 წლის 03 სექტემბერს 15:00 საათზე შემდეგ მისამართზე, ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ-ზე მდებარე „ლუკოილი"-ს ავტოგასამართ სადგურზე (მცხეთიდან თბილისში შემოსასვლელი).***
2. „აგაი" სისტემის ჩართვა განხორციელდება 2014 წლის 01 ნოემბრამდე, რის შესახებაც „შემსყიდველს" დამატებით ეცნობება საკონტაქტო ელ.ფოსტაზე.
3. „შემსყიდველი" ვალდებულია „აგაი" სისტემის ჩართვისთანავე გადაამოწმოს მის სარგებლობაში არსებული ყველა ავტომანქანის მიმართ დაწესებული ლიმიტის შესაბამისობა.
4. „შემსყიდველი"-სათვის ამჟამად მოქმედი საბარათე სისტემისა და „აგაი" სისტემის პარალელურ რეჟიმში ფუნქციონირების თავიდან აცილების მიზნით, „შემსყიდველი" ვალდებულია „აგაი" სისტემის ჩართვის შესახებ დამატებით შეტყობინებაში მითითებულ ვადებში და პირობებით უზრუნველყოს მის სარგებლობაში არსებული ბარათების დაბლოკვა და მათი შემდგომში გამოუყენებლობა. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ყველა შესაძლო შედეგსა და წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებაზე პასუხისმგებელია „შემსყიდველი".
5. „აგაი" სისტემის ჩართვიდან ორი კვირის განმავლობაში „შემსყიდველი" ვალდებულია „მიმწოდებლის" სათაო ოფისში - ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, წარმოადგინოს მის ხელთ არსებული პლასტიკური ბარათები ორგანიზაციის სახელწოდებისა და საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით.
6. შემსყიდველი ვალდებულია გაეცნოს, მიმწოდებლის ვებ-გვერდზე www.lukoil.ge (ფანჯარა - კონსოლიდირებული 2014) განთავსებულ "აგაი" სისტემის მართვის ინსტრუქციას (ინსტრუქცია ვებ-გვერდზე განთავსდება 2014 წლის 1 ოქტომბრამდე), იმოქმედოს მის შესაბამისად და სრულად უზრუნველყოს ინსტრუქციით გათვალისწინებული „შემსყიდველი"-ს ვალდებულებების განხორციელება.
7. „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას გაუფრთხილდეს მის კუთვნილ ავტომანქანებზე დამონტაჟებულ მოწყობილობას და უზრუნველყოს მისი მთლიანობის

შენარჩუნება. მექანიკური ზემოქმედების შედეგად მოწყობილობის დაზიანების შემთხვევაში, განმეორებით ახალი მოწყობილობის მონტაჟის ღირებულება შეადგენს 30 ლარს.

8. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და წარმოადგენს 2013 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული №1 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1. **მხარეთა რეკვიზიტები:**

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
სსს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი ს.კ212153756 აღმასრულებელი დირექტორი ---------- შ. გოგიჩაიშვილი	შპს „ლუკოილ ჯორჯია“ ს.კ 204976302 დირექტორი ---------- ზ. ქათამაძე